

THE VERBAL AGGRESSION AND ITS TRANSLATIONAL ASPECTS

სამეტყველო აგრესია და მისი მთარგმნელობითი ასპექტები

Kakha Tavdgiridze

PhD student at Batumi Shota Rustaveli State University
 Batumi, 35/32 Ninoshvili/Rustaveli str.,
 6010, Georgia,
 +995 596 113 307, kakha.tavdgiridze@bsu.edu.ge,
<https://orcid.org/0000-0002-2648-9794>

Abstract. The following paper presents the research problems of the ways of expression of speech aggression and its translational aspects. The topic is relevant to the extent that there are frequent cases around us when we come across aggressive speech, especially when it appears in the social and political discourses.

The paper talks about the essence and meaning of verbal aggression; The opinions of scientists about the mentioned problem are given; The place of the term "speech (verbal) aggression" in different sciences is defined; "Speech aggression" itself is considered as an interdisciplinary phenomenon.

Based on the empirical material, the translational aspects of this linguistic phenomenon are discussed and analyzed in the paper; The methodology used by the translator in transferring information from the source language to the target language are reviewed.

The results of the research are collected in the conclusion.

Keywords: Speech aggression, Verbal aggression, Translational transformations, Translation methods.

კახა თავდგირიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის დოქტორანტი,
 ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32,
 6010, საქართველო,
 +995 596 113 307, kakha.tavdgiridze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-2648-9794>

აბსტრაქტი. წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია სამეტყველო აგრესიის გამოხატვის გზებისა და მთარგმნელობითი ასპექტების კვლევის პრობლემები. საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ჩვენ ირგვლივ ხშირია შემთხვევები, როცა ვაწყდებით აგრესიის გამომხატველ მეტყველებას, განსაკუთრებით კი იგი თავს იჩენს სოციალურ და პოლიტიკურ დისკურსებში.

სტატიაში საუბარია სამეტყველო აგრესიის არსსა და მნიშვნელობაზე; მოცემულია მეცნიერთა მოსაზრება აღნიშნული პრობლემის შესახებ; განსაზღვრულია ტერმინ „სამეტყველო (ვერბალური) აგრესიის“ ადგილი სხვადასხვა მეცნიერებაში; თავად „სამეტყველო აგრესია“ კი განხილულია როგორც ინტერდისციპლინური მოვლენა.

ნაშრომში ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით განხილული და გაანალიზებულია, ასევე, ამ ენობრივი მოვლენის მთარგმნელობითი ასპექტები; მიმოხილულია ხერხები, რომელთაც მიმართავს მთარგმნელი წყარო ენიდან სამიზნე ენაზე ინფორმაციის გადატანისას.

დასკვნით ნაწილში კი კვლევის შედეგებია თავმოყრილი.

საკვანძო სიტყვები: სამეცნიერო აგრესია, ვერბალური აგრესია, მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია, მთარგმნელობითი ხერხები.

შესავალი. აგრესიის, როგორც სამეცნიერო კომუნიკაციის შესწავლა, იწყება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც სტრუქტურული ლინგვისტიკა ჩაანაცვლა ფუნქციურმა ლინგვისტიკამ. სწორედ ამ დროს იწყებს ლინგვისტურ კვლევებში დომინირებას ანთროპოცენტრიზმის პრინციპი, რაც გულისხმობს „ადამიანს მეცნიერების ცენტრში“.

სამეცნიერო აგრესიისადმი ინტერესს დღეს უამრავი მეცნიერი იჩენს. თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც სამეცნიერო აგრესია წარმოადგენს ინტერდისციპლინურ ტერმინს და ის სხვადასხვა მეცნიერებაში, სხვადასხვა დისკურსში გვხვდება, განსაკუთრებით კი სოციალურ და პოლიტიკურ დისკურსებში.

ბოლო წლებში ენათმეცნიერებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა კონცეპტუალური სივრცის სხვადასხვა სეგმენტის ვერბალიზაციის ფორმებისა და მეთოდების შესწავლაში, თუმცა „აგრესიის“ ცნება ლინგვისტიკაში არასაკმარისად არის შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ის როგორც კულტურის მხრივ, ისე თანამედროვე ადამიანის კონცეფციის სფეროს სოციალურად მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

მიზანი. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიზნებია, უპირველესყოვლისა, საკვლევი ობიექტის განმსაზღვრელი ტერმინის დაზუსტება, ტერმინის „სამეცნიერო აგრესია“ ინტერდისციპლინური არსის წარმოჩენა და მისი მთარგმნელობითი ასპექტების შესწავლაში გარკვეული წვლილის შეტანა.

ამოცანები. დასახული მიზნების მისაღწევად განვახორციელეთ შემდეგი ამოცანები: აგრესიის, როგორც ლინგვოფსიქოლოგიური და ინტერდისციპლინური არსის შესწავლა ანთროპოცენტრული პარადიგმის ჭრილში, სამეცნიერო აგრესიის ფენომენის განხილვა მთარგმნელობით ჭრილში.

მეთოდი. ემპირიული მასალის მოძიებისას გამოვიყენეთ შემდეგი კვლევის მეთოდები: დაკვირვება (დავაკვირდით სოციალურ და პოლიტიკურ დისკურსში სამეცნიერო აგრესიის გამოხატვის გზებსა და ინტენციას), აღწერა (აღვწერეთ როდის, რა შემთხვევაში მიმართავს სამეცნიერო აგრესიის სუბიექტი აგრესიას) და ანალიზი (გავანალიზეთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი, რომლებიც წარმოდგენილია სოციალური მედიიდან ამოღებული ფრაზებისა და ტექსტების სახით).

მსჯელობა. ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, რომ ტერმინს „ვერბალური აგრესია“ ერთმნიშვნელოვანი განმარტება არ მოეპოვება. ეს კი რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: პირველი - აღნიშნული ტერმინი გამოირჩევა პარალელური ტერმინების არსებობის სიმრავლით („სამეცნიერო აგრესია“, „ენობრივი აგრესია“, „სიტყვიერი აგრესია“, „კომუნიკაციური აგრესია...“) (Воронцова, 2006, стр. 83-84); მეორე - ტერმინს გააჩნია, როგორც ვიწრო, ისე ფართო მნიშვნელობები; მესამე - აგრესიის როლის შეფასება კომუნიკაციაში ორაზროვანია (მისი აღიარება საკომუნიკაციო დაბრკოლებად ან კომუნიკაციური დამოკიდებულებით, რომელიც მისაღებია ზოგიერთ საკომუნიკაციო სისტემაში (Басовская, 2004, стр. 262).

ადამიანის აგრესიული მდგომარეობის შესწავლა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აგრესია კომუნიკაციის დროს.

ინგლისური ენის ონლაინ განმარტებითი ლექსიკონის “Macmillan Dictionary”-ის მიხედვით: *“aggression – an angry feeling that makes you want to attack or defeat someone else; a situation in which one country attacks another; a situation in which someone attacks another person”* (Macmillandictionary.com) - აგრესია წარმოადგენს გაბრაზებულ გრძნობას, რომელიც აღძრავს თავდასხმის ან ვინმეს დამარცხების სურვილს; სიტუაცია, რომლის დროსაც ერთი ქვეყანა თავს ესხმის მეორეს; სიტუაცია, რომელშიც ერთი ადამიანი თავს ესხმის მეორეს¹;

აგრესიის, როგორც სამეტყველო კომუნიკაციის ფენომენის შესწავლა, დაკავშირებულია მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მოვლენასთან, რაც განპირობებული იყო იმით, რომ სტრუქტურულმა ლინგვისტიკამ ადგილი დაუთმო ფუნქციურ ლინგვისტიკას. სწორედ ამ დროს იწყებს დომინირებას ანთროპოცენტრიზმის პრინციპი („ადამიანი მეცნიერების ცენტრში“). ენათმეცნიერება აქტიურად იწყებს ინტერდისციპლინური პრობლემების კვლევას. კერძოდ, კომუნიკაციის ოპტიმიზაციის პრობლემა ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებს ენობრივ კვლევაში და სამეტყველო აგრესია განიხილება როგორც მისი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ასპექტი. მიუხედავად ამისა, ღიად რჩება საკითხი - გააჩნია თუ არა ლინგვისტიკას სამეტყველო აგრესიის შესწავლისას საკუთარი საკვლევე საგანი;

სამეცნიერო კვლევების უმრავლესობა სამეტყველო აგრესიას განიხილავს როგორც ლინგვოფსიქოლოგიურ ფენომენს, სადაც აგრესიის ფსიქოლოგიური გაგება მეტწილად ექტრაპოლიზებულია სამეტყველო ქცევაზე და მხოლოდ მისი გამოხატვის გზა ასოცირდება ენათმეცნიერებასთან. აქვე გვსურს აღვნიშნოთ ის, რომ ჩვენც, ისევე როგორც ბევრი სხვა მეცნიერი, ტერმინებს „ვერბალური აგრესია“ და „სამეტყველო აგრესია“ არ განვასხვავებთ ერთმანეთისგან, უფრო მეტიც, ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნაშრომში მათ ერთმანეთის სინონიმებად მოვიაზრებთ.

ფსიქოლოგიური ლექსიკონი „ვერბალურ აგრესიას“ განმარტავს როგორც აგრესიული ქცევის ფორმას, რომელშიც უარყოფითი ემოციები გამოიხატება როგორც ინტონაციით, ისე მეტყველების სხვა არავერბალური კომპონენტებით.

სამეტყველო (ვერბალური) აგრესია გულისხმობს ენობრივი საშუალებების გამოყენებას მტრული დამოკიდებულების გამოხატვისთვის; ის წარმოადგენს მეტყველების მანერას, რომელიც შეურაცხყოფს ვინმეს სიამაყეს ან ღირსებას.

ინსტინქტივისტთა წარმოდგენების მიხედვით, აგრესია ინსტინქტური ქცევაა, რომელიც გენეტიკურად თუ „კონსტიტუციურად“ დაპროგრამებულია. ადამიანის შემთხვევაში ის ერთგვარ ანთროპოლოგიურ კონსტანტას წარმოადგენს და მისი განხორციელების მოთხოვნილება ადამიანის სულის სიღრმიდან მოდის. ამ მიმართულებას ეკუთვნის ზ. ფროიდისა და კ. ლორენცის კონცეფიციები (ჭიჭინაძე, 2010, გვ. 15).

ეთოლოგიური მიდგომა, რომლის ავტორს უდიდესი გერმანელი მკვლევარი კონრად ლორენცი წარმოადგენს, ემყარება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ცოცხალ ორგანიზმში აგრესია სპონტანურად გენერირდება, გროვდება და განმუხტვას მოითხოვს, რომ იგი თანდაყოლილი ინსტინქტია (ჭიჭინაძე, 2010, გვ. 15).

ენობრივ-ფსიქოლოგიური პოზიციიდან სამეტყველო აგრესიას კ. სედოვი განიხილავს როგორც: „მიზანმიმართული კომუნიკაციური მოქმედება, მეტყველების ზემოქმედების ობიექტისადმი უარყოფითი ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოწვევის მიზნით“ (Седов, 2005, стр. 32-37).

სოციოლინგვისტურ რაკურსში, ვერბალური აგრესია, როგორც ფსიქოლოგიურად გამართლებული ქმედება, განხილულია ვ. ჟელვისის მიერ.

¹ აქ და ქვემოთ თარგმანი ჩვენია - კ.თ.

ლ. ენინას განმარტების თანახმად, სამეტყველო აგრესია წარმოადგენს მეტყველების ქცევის სფეროს, რომელიც განპირობებულია მოსაუბრის აგრესიული მდგომარეობით;

იურიდიულ ლინგვისტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა „შეურაცხყოფის“ კონცეფციის განხილვას, როგორც სამეტყველო აგრესიის გამოვლინებას. ამ თვალსაზრისით, სამეტყველო აგრესიის ძირითადი მაჩვენებელია სტილისტურად გამოხატული ენობრივი და სამეტყველო საშუალებები (ექსპრესიულად ფერადი ლექსიკა, ინვექციური, უხეში სასაუბრო სიტყვები და ფრაზები, ენობრივი ლექსიკის გადაჭარბებული გამოყენება, ჟარგონული ენობრივი ერთეულების გამოყენება) ეთიკური ან არაეთიკური გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა დისკურსში.

აგრესიის გამოხატვა სამეტყველო კომუნიკაციაში აუცილებლად გულისხმობს სამეტყველო აგრესიის ობიექტის არსებობას, რომლისკენაც იქნება მიმართული უარყოფითი დამოკიდებულება. თუ კომუნიკაციაში წარმოდგენილია უარყოფითი დამოკიდებულების ობიექტი, ე.ი. იგი წარმოადგენს სამეტყველო აგრესიის ადრესატს, მაშინ მისდამი უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება გამოხატული იყოს მკაფიოდ (მაგალითად, ინვექციური ან იმპლიციტურად კომუნიკაციური ეთიკის, დისკურსის კონვენციების, სამეტყველო ქცევის არა-კოოპერატიული ფორმების დარღვევით).

სამეტყველო აგრესიის ზოგადი კლასიფიკაცია ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, ფსიქოლოგ ა. ბასის მიერ (Седов, 2005, стр. 10); მის მიერ ჩამოყალიბებული კლასიფიკაცია დღესაც არ ჰკარგავს აქტუალობას. ბასის აზრით, აგრესიული ქმედებების მთელი მრავალფეროვნება შეიძლება აღიწეროს სამი შკალის საფუძველზე: ფიზიკური-ვერბალური, აქტიური-პასიური და პირდაპირი-ირიბი. მათი კომბინაცია გვაძლევს რვა შესაძლო კატეგორიას, რომლებიც მოიცავს ყველაზე აგრესიულ ქმედებებს. რაც შეეხება სამეტყველო აგრესიას, ბასი გამოყოფს ოთხ ტიპს:

1. აქტიური პირდაპირი აგრესია - აგრესია, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ დაქვემდებარებას და მოასწავებს საფრთხეს უსიამოვნო შედეგებით. გამოიყენება სხვა პირის (ჯგუფის) სიტყვიერი შეურაცხყოფის ან დამცირების მიზნით, სარკაზმისათვის დამახასიათებელი გამოვლინებისა და თანამოსაუბრის დაცინვის მცდელობებით. აღნიშნული სახე დღეს ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. აქტიური პირდაპირი აგრესია ფართოდ არის გავრცელებული, როგორც ყოველდღიურ კომუნიკაციაში, ისე საჯარო სიტყვით გამოსვლაში. ის გულისხმობს მუქარას, დესტრუქციულ, ბოროტი სურვილების განცხადებებს ვინმეს მიმართ, ასევე სიტყვით გამოსვლებს, რომლებიც თავის მხრივ გულისხმობს პირდაპირ მოწოდებას სამეტყველო ობიექტის წინააღმდეგ აგრესიული ქმედებისაკენ.

2. აქტიური ირიბი აგრესია - აგრესიის ობიექტთან დაკავშირებით ყალბი ინფორმაციის გავრცელება, ცილისწამება და ჭორი. მსგავსი სახის აგრესია, როგორც წესი, გულისხმობს „ზურგს უკან“ ჭორების გავრცელებას. ასეთ შემთხვევაში „აგრესორი“ პირდაპირ კონტაქტში არ შედის აგრესიის ობიექტთან, თუმცა ავლენს მისდამი ცუდ, უარყოფით დამოკიდებულებას, ხშირად მიუღებელი ქმედებებით.

3. პასიური პირდაპირი აგრესია - უარი ოპონენტთან დიალოგის გამართვაზე, მასთან საუბარზე, კითხვებზე პასუხის გაცემაზე ან კიდევ რაიმე ფორმით მასთან დაკავშირებაზე. პასიური პირდაპირი აგრესია გამოიხატება არა აგრესორის ვერბალურ ქმედებებში, არამედ მის ქცევაში, სუბიექტი უბრალოდ აიგნორებს თანამოსაუბრეს, უარს ამბობს მისთვის პასუხის გაცემაზე; ეს ქცევა კი მაინც აგრესიის გამოხატულებად არის მიჩნეული, რადგან სუბიექტი თავისი საქციელით უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს ობიექტისადმი.

4. პასიური ირიბი აგრესია - უარის თქმა კონკრეტული სიტყვიერი განმარტების მიცემაზე;

სხვა მეცნიერები გვაწვდიან სამეტყველო აგრესიის შემდეგი სახის კლასიფიკაციას:

1. ინტენსივობის მიხედვით - სუსტი (ან მოძველებული) და ძლიერი; აგრესიის ძლიერი ფორმებია: გინება, უხამსი ენა, ცბიერება, უხეში მოთხოვნა, ყვირილი, მტრული შენიშვნები, სარკასტული დაცინვა და მიმიკა მუქარა, ხოლო სუსტი ფორმებია - უხეში უარი, არაპირდაპირი შეურაცხყოფა, არაპირდაპირი დაგმობა.

2. გამოხატვის გზების, ბუნების მიხედვით - ექსპლიციტური (ღია სიტყვიერი აგრესია, განზრახ შეურაცხყოფა, უხეში მოთხოვნა, უარი, საყვედური) და იმპლიციტური (ირონიული გამონათქვამები, ფარული მუქარა, ჭორი და სხვა);

3. ობიექტთან მიმართების მიხედვით - გარდამავალი ანუ ტრანზიტული (მიმართულია სამეტყველო სიტუაციის ერთი მონაწილისაკენ) და გარდაუვალი (ინტრანზიტული - როდესაც სუბიექტი ობიექტს უსაფუძვლოდ, ზოგადად ლანძღავს და გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას (Щербинина & Флинта, 2004, стр. 109);

აქტიური ვერბალური აგრესიის ყველა ფორმა ხორციელდება შემდეგი ენობრივი საშუალებებით:

1. ლექსიკური - მოიცავს შეფასებით ლექსიკას, ხალხურ ენას, ჟარგონს, ინვექციურ და სტილისტურად შემცირებულ, არაწესიერ ლექსიკას და სხვა;

2. გრამატიკული;

3. ტექსტური (ან „დისკურსული“) - ამ შემთხვევაში გამოიყენება ენობრივი დემაგოგიის ტექნიკა, ე.ი. არაპირდაპირი გავლენა ადრესატზე, ისევე როგორც ირონია, სარკაზმი და სხვა საშუალებები.

კ.სედოვი გვთავაზობს ენობრივი აგრესიის დეტალურ კლასიფიკაციას, სადაც ის ათ სახეს გამოყოფს:

1. ვერბალური / არავერბალური.

ამ შემთხვევაში აგრესია შეიძლება გამოვლინდეს მეტყველების მოქმედებების სახით (შეურაცხყოფა, მუქარა, დაცინვა, მიმართვა და ა.შ.), თუმცა, ამის გარდა, ის შეიძლება გამოითქვას არავერბალური ფორმების დახმარებით, რომელთა შორისაც ავტორი, უპირველესყოვლისა, ჟესტებს (მუქარა, ირონია, პროტესტი და ა.შ.) და დუმისს გამოარჩევს;

2. პირდაპირი / არაპირდაპირი.

პირდაპირი ვერბალური აგრესია არის სამეტყველო აქტის შედეგი, რომელიც გულისხმობს ღია, აშკარა მტრობას, ეს არის სიტყვიერი აგრესიის ისეთი გამოვლინება, როგორცაა - შეურაცხყოფა, მუქარა; არაპირდაპირი აგრესია კი პირდაპირი აგრესიისგან განსხვავებით გამოიხატება ჭორების ან ზურგს უკან საუბრების სახით;

3. ინსტრუმენტული და არაინსტრუმენტული.

ინსტრუმენტული აგრესიის გამოხატვით, კონფლიქტის წამქეზებელი, ადრესატის მიმართ მტრული განზრახვის გარდა, სხვა მიზნის მიღწევასაც ცდილობს. არაინსტრუმენტული აგრესია არის თავად აგრესია აგრესიისთვის, ანუ საპასუხო რეაქციის მისაღებად. აღნიშნული ტიპის აგრესია ემსახურება ემოციურ განთავისუფლებას კომუნიკანტი პარტნიორის ხარჯზე და ჩვეულებრივ აფექტური ხასიათი აქვს.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ლეონარდ ბერკოვიცი ეთანხმება აგრესიის ინტრუმენტულ და მტრულ აგრესიად დაყოფა-კლასიფიკაციას, ოღონდ, მტრული აგრესიის ნაცვლად იყენებს ტერმინს „ემოციური აგრესია“ [...]; ემოციური აგრესიულობისათვის დამახასიათებელია იმპულსურობა (ექსპრესიულობა), ისევე როგორც სერიოზული დაგეგმარებისა და გააზრების არარსებობა. ამ დროს მტრული აზრები და წარმოდგენები სდევნენ აგრესიულ ქმედებას (ჭიჭინაძე, 2010, გვ. 20).

4. ინიციატიური / რეაქტიული.

ინიციატიური აგრესია წარმოადგენს თავდასხმის საშუალებას; რეაქტიული აგრესია კი ასრულებს აგრესორისგან თავდაცვის ფუნქციას (რეალური და წარმოსახვითი);

ამერიკელი მკვლევრების - დოჯისა და კოიეს მერ შემოღებული იქნა რეაქტიული და პროაქტიული აგრესიის ცნებები. მათი აზრით, რეაქტიული აგრესია წარმოადგენს პასუხს რეალურ თუ წარმოსახვით შეტევასა და მუქარაზე. პროაქტიული აგრესია (დაძალება, დაშინება და სხვა) კი ინიცირდება თავად მოძალადის მიერ და მის მიზანს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. პროაქტიული აგრესია ხშირად მიმართულია უფრო სუსტი და დაუცველი არსების წინააღმდეგ. მოცემულ ავტორთა აზრით, პროაქტიული აგრესია შეიძლება იყოს როგორც ინსტრუმენტული (მაგ. ძალაუფლების მისაღწევად/შესანარჩუნებლად ადამიანთა დევნა, შეკვეთილი მკვლელობა და ა.შ.), ისე მტრული (მაგ. შემთხვევით ადამიანზე ჯავრის ამოყრა) (ჭიჭინაძე, 2010, გვ. 22).

5. აქტიური / პასიური.

სედოვი აღნიშნავს, რომ ეს დაყოფა მოგვაგონებს ზემოთ ხსენებულ დაყოფას - ინიციატიური და რეაქტიული. აქტიური აგრესია არის აგრესია აგრესიის წინააღმდეგ; პასიური აგრესია კი გამოიხატება კონტაქტის შეწყვეტის ან მასში შესვლის სურვილის დემონსტრირებით.

6. პირდაპირი / ირიბი.

აღნიშნული დაყოფა გამოირჩევა საკომუნიკაციო კონტაქტის ხასიათის მიხედვით. პირდაპირი ვერბალური აგრესია ხორციელდება სამეტყველო აქტის ფარგლებში, რომლის დროსაც კომუნიკანტები ერთსა და იმავე სივრცესა და დროში იმყოფებიან. არაპირდაპირი (ირიბი) აგრესია განიხილება სამეტყველო ზემოქმედებად, რომელიც სხვადასხვა დროს განხორციელდა.

7. სპონტანური / მომზადებული.

აღნიშნულ დაყოფაში მნიშვნელობა ენიჭება გამოთქმის წარმოქმნის პროცესის ორიგინალობას. სპონტანური აგრესია ვლინდება ისეთი სამეტყველო აქტის ფარგლებში, სადაც მოტივი და კომუნიკაციური განზრახვა თითქმის ერთდროულად რეალიზდება მათ სიტყვიერ გამოხატვასთან. მომზადებული აგრესია კი წინასწარ არის დაგეგმილი.

8. ემოციური / რაციონალური.

ემოციური აგრესია ჩვეულებრივ სპონტანური სამეტყველო აქტის ფარგლებში ვლინდება. ამ შემთხვევაში სედოვი ისეთ აგრესიულ ქმედებაზე საუბრობს, რაც ვნებს სხვას. რაციონალური აგრესია წარმოადგენს წინასწარ დაგეგმილ სამეტყველო განცხადებას, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა სახის გავლენის არაპირდაპირ ფორმებში: ხუმრობა, ირონია და სხვა.

9. ძლიერი / სუსტი.

ამ ოპოზიციის გამოკვეთის აუცილებლობას, სედოვი ხედავს აგრესიული მოქმედების პერლოკუციური ეფექტის გაზომვის შესაძლებლობაში. ძლიერი აგრესია ხდება სამეტყველო აქტის ისეთი შედეგი, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საკომუნიკაციო პარტნიორის ემოციურ მდგომარეობაზე, შეცვალოს ის და გამოიწვიოს ძლიერი იმედეგაცრეუბა, დამცირების განცდა, შიში და ა.შ.

10. მტრული / არამტრული.

არამტრული აგრესია წარმოადგენს აგრესიას მხოლოდ ფორმით და ის არ მოიცავს თანამოსაუბრისათვის ზიანის მიყენების სურვილს (Сергеевна, 2017, стр. 12-15).

სამეტყველო აგრესიის სტატუსის პრობლემის განსაზღვრას თანამედროვე ლინგვისტიკაში ისეთი გამოხატულებების არსებობა უძღვის, როგორცაა: ვერბალური (ვოკალური, ენობრივი, სამეტყველო, კომუნიკაციური) აგრესია, ბრძოლის ენა, ექსტრემიზმის ენა, სამეტყველო კონფლიქტი - რომლებიც თითქმის სინონიმურ ერთეულებად მოიაზრება.

ტერმინი „სამეტყველო აგრესია“ დღეს გამოიყენება უარყოფითი ემოციებისა და კრიტიკული დამოკიდებულებების გამოსახატავად, ემოციური და მენტალური ზიანის მისაყენებლად და ფიზიკური აგრესიული ქცევის შეცვლის მიზნით.

თავიანთ სამეცნიერო სტატიაში „ვერბალური აგრესია პოლიტიკურ საკითხებზე მედია დისკურსში“ ვიქტორია რიბალკინა და იულია ლობინა, საუბრობენ სამეტყველო აგრესიის გადათარგმნის ხერხებზე. მათ მიერ ჩატარებულმა კვლევამ შემდეგი მაჩვენებელი მოგვცა: ორიგინალ და ნათარგმნ გამონათქვამებში ვერბალური აგრესიის დონის შედარებისას გაირკვა, რომ შემთხვევათა 71%-ში აგრესია იგივე დონეზეა შენარჩუნებული, გამონათქვამების 17%-ში ნათარგმნ ტექსტში სიტყვიერი აგრესია უფრო მძაფრი აღმოჩნდა, ხოლო 12%-ში ვერბალური აგრესია შემცირდა (Рыбалкина & Лобина, 2018).

რა არის თარგმანი?

დალი ფანჯიკიძე თავის მონოგრაფიაში „თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა“ (1995), თარგმანის თეორიებზე საუბარს იწყებს ერთ-ერთი ცნობილი თეორეტიკოსის ვ.ნ. კომისაროვის მიერ შემოთავაზებული განმარტებებით, სადაც ის ოთხ ძირითად მიმართულებას გამოჰყოფს:

1. ნაშრომების ერთ წყებაში თარგმანი ზოგადად განიხილება, როგორც ენათშორისი კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება. თარგმანის ამ ასპექტის შესწავლა მიზნად ისახავს თარგმანის ცნების განსაზღვრას, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გამოვლენას, მათი ურთიერთხემოქმედების კვლევას და ამ ფონზე განიხილავს თარგმანის თეორიის ცენტრალურ პრობლემას - ეკვივალენტობის პრობლემას.

2. თარგმანი განიხილება, როგორც მეტყველების თავისებური სახეობა, განხორციელებული მთარგმნელ-ბილინგვის მიერ. ამ ფსიქოლოგიური ასპექტის შესწავლის მიზანია მთარგმნელის სააზროვნო ოპერაციების გაანალიზება, როგორ ხდება დედნის შინაარსის გააზრება და თარგმანის ვარიანტის შერჩევა.

3. თარგმანი მოიაზრება, როგორც გადასვლა ერთ ენაზე შექმნილი ტექსტიდან მეორე ენაზე შესაქმნელ ეკვივალენტურ ტექსტზე. ამ შემთხვევაში თარგმნა განიხილება, როგორც „საწყისი“ ტექსტის ტრანსფორმაციები, ანუ ორ სტრუქტურას (ტექსტს) შორის მიმართებათა აღწერის ხერხები.

4. თარგმანის პროცესი განიხილება, როგორც განსაკუთრებული (დინამიკური) სახეობა ორი ენის სამეტყველო და ენობრივი ერთეულების შეპირისპირებისა. თარგმნის პროცესში ეკვივალენტურობა დგინდება არამარტო ორ სხვადასხვაენოვან ტექსტს შორის, არამედ ამ ტექსტის ელემენტებს შორისაც, თვით ცალკეულ ენობრივ ერთეულებამდეც კი... ამის მიხედვით „თარგმნა გვევლინება, როგორც სხვადასხვა ენაში ისეთი ერთეულების გამოვლენის ხერხი, რომელთაც ძალუბთ შეასრულონ ერთნაირი კომუნიკაციური ფუნქცია“ (ფანჯიკიძე, 1995, გვ. 7).

რა მთარგმნელობითი ხერხები შეიძლება გამოიყენოს მთარგმნელმა მთარგმნელობითი პროცესების განხორციელების დროს? კვლევების უმრავლესობა აჩვენებს, რომ მთარგმნელები ძირითადად მიმართავენ შემდეგ ხერხებს: ნულოვანი ტრანსფორმაცია, გამოტოვება, გრამატიკული ჩანაცვლება, დამატება, გენერალიზაცია, კონკრეტიზაცია, კომპენსაცია და სხვა.

თარგმანი შეუძლებელია ერთი ენიდან მეორე ენაზე ტრანსფორმაციების გარეშე. თარგმნისას აუცილებელია მთარგმნელმა გაითვალისწინოს როგორც წყარო, ასევე სამიზნე ენის ლექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურა. იმ შემთხვევაში, როდესაც ორიგინალის გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებების შენარჩუნება შეუძლებელია, მთარგმნელი ვალდებულია გარკვეული ცვლილებები შეიტანოს ორიგინალ ტექსტში, შესაბამისად იგი განიცდის ტრანსფორმაციას. ტრანსფორმაცია

შესაძლოა სხვადასხვა სახის იყოს, რომელთაგანაც მეცნიერები ძირითადად გამოყოფენ ლექსიკურ და გრამატიკულ ტრანსფორმაციებს (აროშიძე & აროშიძე, 2015).

ლექსიკურ ტრანსფორმაციაში იგულისხმება: ანტონიმური თარგმანი, მნიშვნელობის გენერალიზაცია, კონკრეტიზაცია, აზრობრივი გავრცობა (აროშიძე & აროშიძე, 2015).

ანტონიმური თარგმანი კომპლექსურ ლექსიკურ-გრამატიკულ ტრანსფორმაციას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს დადებითი კონსტრუქციის უარყოფითი კონსტრუქციით შეცვლას.

ნებისმიერ ენაში არის ისეთი სიტყვები, რომელსაც სათარგმნ ენაში არ მოეპოვებათ ადეკვატები. ამიტომაც, მთარგმნელები ხშირად კონკრეტული სიტყვის გენერალიზაციას, ანუ მნიშვნელობის გაფართოებას მიმართავენ; მისი საპირისპირო მოვლენა კი კონკრეტიზაციაა, რაც გულისხმობს, ფართო მნიშვნელობის ცნების დაკონკრეტებას (აროშიძე & აროშიძე, 2015).

ამრიგად, ლატიშევის აზრით, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული, ფართოდ გამოიყენება მთარგმნელობით პრაქტიკაში. ვინაიდან, იგი გულისხმობს დედანში რაღაც ცვლილების შეტანას; მთარგმნელი, რომელიც ისწრაფვის ინფორმაციის მაქსიმალურად ზუსტად გადმოცემისაკენ, უნდა ითვალისწინებდეს იმას, თუ რამდენად საჭიროა ამა თუ იმ ტრანსფორმაციის გამოყენება?

ლექსიკურ ტრანსფორმაციებთან ერთად, ასევე გამოიყენება ახსნა-განმარტება, შეცვლა (მთარგმნელი ცვლის დამატებითი ინფორმაციით უცნობ, გაუგებარ ელემენტს, რომელიც მხოლოდ ნაგულისხმევია, მაგრამ მიმღებისთვის სრულიად ნათელი და გასაგებია), გამოტოვება (ინფორმაციის გამოტოვება) და დამატება (აროშიძე & აროშიძე, 2015).

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ „სამეტყველო აგრესია“, „სიძულვილის ენა“, უამრავ დისკურსში გვხვდება, ამიტომაც მოიხსენიებენ მას ინტერდისციპლინურ ტერმინად; ყველაზე ხშირად „სამეტყველო აგრესია“ კი თავს იჩენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში; სოციალურ, მასმედიაში და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებული აგრესიული მეტყველების ნიმუშები, ხშირად განხილვისა და გაკიცხვის საგანი ხდება. ყველაზე მეტად ყურადღებას ამ მხრივ პოლიტიკა იპყრობს, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე წინასაარჩევნო კამპანიებს ეხება. პოლიტიკოსთა სააგიტაციო და პროპაგანდული გამოსვლები გარდაუვალია აგრესიული მეტყველების გარეშე, მით უფრო თუ საქმე ეხება ორი პოლიტიკური პარტიის დაპირისპირებას.

საილუსტრაციოდ გვსურს წარმოვადგინოთ რამდენიმე ქართული ოპოზიციური პარტიის განცხადება, რომლებიც ამავე პარტიის ლიდერებმა თავიანთ სოციალურ ქსელში განათავსეს და რომლებშიც სამეტყველო აგრესიაა გამოხატული:

1. *„ზუსტად 18 წლის წინ, 2002 წლის 30 დეკემბერს, ლეიბორისტული პარტიის სარჩელით, საკონსტიტუციო სასამართლომ ელექტროენერჯის ფასი თბილისში გახადა 11 თეთრი, ხოლო რეგიონებში 7 თეთრი. ასე გრძელდებოდა სამი წელი; სამი მილიარდი ვაჩუქეთ ხალხს, სამაგიეროდ, იგივე ხალხმა მოგვიწყო ვარდების რევოლუცია, დაგვგმო და არაერთხელ გაგვცვალა ყველა ჯურის ნადირალაში. გუშინ უკვე 35-მდე აიყვანეს დენის გადასახადი. ასე იცის უმადურობამ. სხვასთან მაინც არ დაგემართოთ იგივე, თორემ მომხდარს აღარაფერი ეშველება“ - შალვა ნათელაშვილი.*

შალვა ნათელაშვილის მიერ გამოქვეყნებულ აღნიშნულ ფეისბუქ განცხადებაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს სამეტყველო აგრესიის გამომხატველი ტერმინი „ყველა ჯურის ნადირალა“; მართალია, ამ ტექსტის ინგლისურენოვანი თარგმანი სოციალურ ქსელებში არ ვრცელდება, თუმცა, ჩვენ შევეცადეთ დაგვემეხნა ამ სიტყვების შესაბამისი ეკვივალენტები ინგლისურ ენაში:

ჯური - ეს არის ტერმინი, რომელიც რჯულის, რასის აღმნიშვნელი ცნებაა. შესაბამისად, მისი ინგლისური ექვივალენტი არის “race” ან “religion”. ცხადია, არც ერთი მათგანი არ არის ისეთი ექსპრესიული, როგორც წყარო ენის ვერსია „ჯური“.

რაც შეეხება სიტყვა „ნამირალას“, მისი 100%-ით ექვივალენტი შესატყვისის პოვნა ინგლისურ ენაში გაგვიჭირდა; ინგლისური ენის ონლაინ განმარტებითი ლექსიკონი გვაწვდის შესატყვისის “dreg (dreg of society)”; ასევე ვხვდებით შემდეგ შესატყვისსაც - „bastard”, რაც უფრო „ნაბიჭვარის ანუ ქორწინების გარეშე უკანონოდ გაჩენილი შვილის“ აღმნიშვნელი ცნებაა; კონკრეტული მთარგმნელობითი ექვივალენტის შერჩევისას, მთარგმნელი დილემის წინაშე დგება; სწორედ მან უნდა გადაწყვიტოს, რომელი შესატყვისი იქნება ორიგინალ (წყარო) ენაში გამოყენებული ტერმინის ექვივალენტური და ადეკვატური.

საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, 2021 წლის საახალწლო მილოცვის სახით, მსგავსი სახის ტექსტს აქვეყნებს სოციალურ ქსელში - გამოქვეყნების თარიღი 31 დეკემბერი:

2. *„კულოცავ ყველა ქართველს, მთელ მსოფლიოში დამდეგ ახალ წელს! კულოცავ ყველა ჩემს თანამებრძოლს, რომელმაც არამხოლოდ ხელები არ ჩამოუშვა, არამედ როგორც არასდროს, ცდილობს ბოლომდე მიიყვანოს ბრძოლა, ქართველ ხალხს დაუბრუნოს 2020 წელს მოპოვებული გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში, იმისათვის რომ 2021 წელს უზურპატორმა ვერ შეძლოს ფეხის მოკიდება და საქართველოს ბოლომდე ჯიბეში ჩადება...“*

(<https://www.facebook.com/SaakashviliMikheil/photos/a.267904939906561/3924807710882914> - მოძიებულია 31 დეკემბერს, 2020 წ.);

„უზურპატორი“ არ არის ქართული სიტყვა; ვინაიდან, ჩვენ მიძღვნილი კულტურის ფუნქციას უფრო ვასრულებთ, ვიდრე გამცემის, ამიტომ, ქართულ ენაში დამკვიდრდა საერთაშორისო ლექსიკა, რომლის თარგმანიც არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს მთარგმნელისთვის; შესაბამისად, აგრესიის დონე, წყარო ენიდან სამიზნე ენაზე ინფორმაციის გადატანისას, მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული (აქ იკვეთება მეორე დეტალი, რასაც ხატოვან სიტყვა-თქმათა (აქ: „ჯიბეში ჩადება“) თარგმნის პრობლემა ეწოდება);

„სამეტყველო აგრესიის“ ნიმუშებს სოციალურ დისკურსშიც შეიძლება გადავაწყდეთ. ამის უამრავი ნათელი მაგალითი არსებობს, თუნდაც ისეთი, როგორცაა კორონა ვირუსის პანდემიის დროს, სოციალურ ქსელებში მოსახლეობის მიერ გავრცელებული ისეთი შემდეგი შინაარსის აგრესიული გამოხატულებების ტექსტები, „დაეყარეთ სახლში“, „რა დროს მოგ ზაურობა აგიტყდათ“, „ეკლესიის კლასტერს ლოცვებით უმკურნალეთ“, „რად გინდათ, ხალხო, პარიკმახერები და ვარცხნილობები, კუბო დაკეტილი იქნება, თქვენს ვარცხნილობას კუბოში ვერავინ დაინახავს“ და ა.შ.

რუსეთ-უკრაინის 2022 წლის ომის ფონზე უამრავი ცნობილი სახე უკრაინის მხარდასაჭერად სიტყვით გამოვიდა; ყველა მათგანი ცდილობდა გაეკიცხა რუსეთი და რუსული პოლიტიკა, შეურაცხყოფა მიეყენებინა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისთვის;

ერთ-ერთ ასეთ უკრაინის მხარდამჭერ მიმართვას ავრცელებდა ფრანგი მწერალი ფრედერიკ ბეგბედერი, რომელიც „რადიო თავისუფლებამ“ თავის ფეისბუქ გვერდზე თარგმანთან ერთად 27 თებერვალს (2022 წ.) გამოაქვეყნა; მწერალი აცხადებდა: *“For three days ago I thought that Zelensky was a clown [...] Vladimir Putin is not only a bitch but mainly he is scared, is ridiculous [...] and I'm ashamed of my government, my country of cowards for not coming to help you immediately, I'm really ashamed. To all my Russian readers and Russian friends, please, now, react, say what you feel, refuse this stupid dictator, stop it! You can not remain silent, you are not allowed to remain silent”* - სამი დღის წინ მეგონა, რომ ზელენსკი კლოუნი იყო...ვლადიმერ პუტინი კი უბრალოდ შემინებული და სასაცილოა... და მე

მრცხვენია ჩემი მთავრობის, მშიშარა ქვეყნის, რომელიც არ მოვიდა შენს დასახმარებლად დაუყოვნებლივ. მე ძალიან მრცხვენია. მივმართავ ჩემს რუს მკითხველს, მეგობრებს, გთხოვთ, წინააღმდეგობა გაუწიეთ! თქვით, რასაც გრძნობთ. შეაჩერეთ ეს გიჟი დიქტატორი, თქვენ არ უნდა გაჩუმდეთ. დაუშვებელია ახლა გაჩუმება (Facebook.com, 2022). როგორც თარგმანიდან ჩანს, ავტორს გამოტოვებული აქვს ორიგინალ ტექსტში ნახსენები სიტყვა „bitch“, რაც „ნაბიჭვარს“ ნიშნავს, და ვლადიმერ პუტინს აფასებს სიტყვებით „შეშინებული“ და „სასაცილო“; ამ განცხადებით თითქოს მწერალი საკუთარი ქვეყნის წარმომადგენლებს უპირისპირდება, რადგან დროული რეაგირება არ მოახდინეს და არ დაეხმარნენ უკრაინელებს. მიმართვის ბოლოს გამოყენებული სიტყვა „Stupid“, მთარგმნელს გადმოტანილი აქვს როგორც „გიჟი“ და არა როგორც „სულელი“; ალბათ მთარგმნელმა ჩათვალა, რომ „გიჟს“ უფრო მეტი ექსპრესიულობა ექნებოდა მიმღები აუდიტორიისთვის.

მსგავსი მაგალითების განხილვით, გვინდოდა წარმოგვეჩინა თუ როგორ ვრცელდება პოლიტიკური არასტაბილურობა, პოლიტიკური დაპირისპირებები და უთანხმოებები სოციუმში, ხალხში, საზოგადოებაში; დღეს პოლიტიკა დამოუკიდებლად, სოციალური დისკურსის გარეშე, შეიძლება ითქვას, ვეღარ არსებობს, რადგან ამჯერად მოსახლეობა იმაზე მეტად არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, ვიდრე აქამდე; ჩვენი მიზანიც სწორედ ეს გახლავთ, წარმოვაჩინოთ პოლიტიკური და სოციალური დისკურსის კონტამინირებული, გაერთიანებული ბუნება და კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ის, რომ პოლიტიკური დისკურსის მახასიათებლები ადგილს იკავებს სოციალურ დისკურსშიც და პირიქით; პოლიტიკურ დისკურსში გამოხატულ სამეტყველო აგრესიას კი საზოგადოება მაშინვე დაიტაცებს ხოლმე;

დასკვნა. საბოლოოდ, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ: „სამეტყველო აგრესია“ ინტერდისციპლინური ტერმინია, რომლის ერთმნიშვნელოვანი გაგება მეცნიერებაში არ მოგვეპოვება.

„სამეტყველო აგრესია“ წარმოადგენს უფრო მეტად ენათმეცნიერულ ტერმინს, ვიდრე „ვერბალური აგრესია“, რომელიც უფრო ფსიქოლოგიური ტერმინია, თუმცა მეცნიერებაში ხშირად ეს ტერმინები ერთმანეთის სინონიმებად მოიაზრება;

კვლევათა უმრავლესობა აჩვენებს, რომ „სამეტყველო აგრესიის“ წყარო ენიდან სამიზნე ენაზე გადატანისას მთარგმნელები ძირითადად მიმართავენ შემდეგ მთარგმნელობით ხერხებს: ნულოვანი ტრანსფორმაცია, გამოტოვება, გრამატიკული ჩანაცვლება, დამატება, გენერალიზაცია, კონკრეტიზაცია, კომპენსაცია და სხვა;

„სამეტყველო აგრესიას“ ყველაზე ხშირად მიმართავენ როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ დისკურსში;

აგრესია, გარკვეული თვალსაზრისით, ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია;

სამეტყველო აგრესიის წყარო ენიდან სამიზნე ენაზე გადატანამდე, მთარგმნელს უწევს იმ წინამთარგმნელობითი პროცესის გავლა, რასაც ლექსიკურად ზუსტი და ადეკვატური მნიშვნელობის სიტყვების დაძებნა ჰქვია სამიზნე ენის კულტურაში, რომლებიც არ გამოირჩევიან ან ძალიან მცირედით განსხვავდებიან წყარო ენის ტერმინებისგან და გადმოსცემენ იმავე ინტენციას, მიზანს და ექსპრესიულობას, რასაც ორიგინალის ენის ტერმინები; მთარგმნელობით პროცესში არავინ არის დაზღვეული იმისგან, რომ თარგმნისას ტექსტის გარკვეული ნაწილის ცვლილება გახდეს საჭირო, მაგალითად ისეთების, როგორებიცაა: რეალიები, ლაკუნები, ეთნოკულტურული ტერმინები და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აროშიძე, მ., & აროშიძე, ნ. (2015). *შესავალი თარგმანმცოდნეობაში*. სალექციო კურსი. ბათუმი.
- ფანჯიკიძე, დ. (1995). *თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა*. თბილისი: განათლება.
- ჭიჭინაძე, ვ. (2010). *აგრესია. აგრესიის ეთოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური გამოვლინებები და მექანიზმები*. თბილისი: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Басовская, Е. (2004.). Творцы черно-белой реальности: о вербальной агрессии в средствах массовой информации. *Критика и семиотика*. стр. 262;
- Воронцова, Т. (2006). Речевая агрессия в коммуникативно-дискурсивной парадигме. *ВЕСТНИК ВГУ, (1)*, стр. 83-84;
- Рыбалкина В., & Лобина, Ю. (2018). Вербальная агрессия медийного дискурса политической тематики: способы передачи при переводе с английского языка на русский язык. *Поволжский Педагогический Поиск*. №3(25) Получено из [http://www.ulspu.ru/science/proekt-crossref/arxiv/VRPS3\(25\)2018RybalkinaLobina.pdf](http://www.ulspu.ru/science/proekt-crossref/arxiv/VRPS3(25)2018RybalkinaLobina.pdf) (20.03.2023).
- Седов, К. (2005). *Речевая агрессия в современной культуре*. Челябинск.
- Сергеевна, М. (2017). *Особенности Речевой агрессии в СМИ (На материале Англо и Русскоязычных масс-медиа)*. Белгород.
- Щербинина, Ю. В., & Флинта, М. (2004). *Русский язык. Речевая агрессия и пути ее преодоления*.

ინტერნეტ წყაროები:

- გახარია გ. (2023 წლის 10 აპრილი). *საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს სანქცირებულ მოსამართლეებს*. მოძიებულია ტვიტერის გვერდიდან, ბმული: <https://twitter.com/GakhariaGiorgi/status/164540646969911680?cxt=HHwWgIC-me2d1NUtAAA>
- მთავარი არხი (2023 წლის 10 აპრილი). *საქართველოს მთავრობა დასანქცირებულ მოსამართლეებს უჭერს მხარს*, მოძიებულია 10 აპრილი, 2023, ფეისბუქ გვერდიდან, ბმული: <https://www.facebook.com/TvMtavari/photos/a.121647255872060/1219671632736278/> .
- მთავარი არხი (2023 წლის 10 აპრილი). *რეალური პრობლემა, ამ ქვეყნის მთავარი რუსული საფრთხე...* მოძიებულია 10 პარილი, 2023, ფეისბუქ გვერდიდან, ბმული: <https://www.facebook.com/TvMtavari/photos/1219621079408000> ,
- რადიო თავისუფლება (2022 წლის 27 თებერვალი), *ფრანგი მწერალი, ფრედერიკ ბეგბედერი ავრცელებს უკრაინის მხარდამჭერ ვიდეოს*. მოძიებულია 11 აპრილი, 2023, ფეისბუქ გვერდიდან, ბმული: <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=986477165312357> .
- Macmillan Dictionary*. 2023, March 21, from Macmilla Dictionary, the link: <https://www.macmillandictionary.com/dictionary/british/aggression> (31.03.2023).

REFERENCES:

- aroshidze, m., & aroshidze, n. (2015). *shesavali targmanmtsodenobashi [Introduction to Translation Studies]*. salektsio k'ursi [Lecture course] Batumi.

- panjik'idze, d. (1995). *targmanis akhali teoriebi da st'ilis ek'vivalent'obis p'roblema* *New Theories of Translation and the Problem of Stylistic Equivalence*. Tbilisi: Publishing House "Ganatileba".
- ch'ich'inadze, k'. (2010). *agresia. agresii etologiuri, psikologiuri, piziologiuri gamovlinebebi da mekanismebi* [Aggression, Ethological Psychological Physiological Manifestations and Mechanisms of Aggression] Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House.
- Basovskaja, E. (2004.). *Tvorcy cherno-beloy real'nosti: o verbal'noj agresii v sredstvakh massovoj informacii* [Creators of Black and White reality on verbal aggression in the media] *Kritika i semiotika* [Criticism and semiotics] p. 262;
- Voroncova, T. (2006). *Rechevaja agresija v komunikativno-diskursivnoj paradigme* [Речеваа агрессия в коммуникативно-дискурсивной парадигме]. *VESTNIK VGU* [Proceedings of Voronezh State University], (1), pp. 83-84;
- Rybalkina V., & Lobina, Ju. (2018). *Verbal'naja agresija medijnogo diskursa politicheskoj tematiki: sposoby peredachi pri perevode s anglijskogo jazyka na russkij jazyk* [Verbal aggression of media discourse on political topics: methods of transmission when translating from English into Russian]. *Povolzhskij Pedagogicheskij Poisk* [Volga Region Pedagogical Search]. №3(25) Retrieved from [http://www.ulspu.ru/science/proekt-crossref/arxiv/VRPS3\(25\)2018RybalkinaLobina.pdf](http://www.ulspu.ru/science/proekt-crossref/arxiv/VRPS3(25)2018RybalkinaLobina.pdf) (20.03.2023).
- Sedov, K. (2005). *Rechevaja agresija v sovremennoj kul'ture* [Verbal Aggression in modern culture] Chelyabinsk.
- Sergeevna, M. (2017). *Osobennosti Rechevoj agresii v SMI (Na materiale Anglo i Russkojazychnyh mass-media)* [Peculiarities of Speech aggression in Mass Media (based on the material of English and Russian Mass Media)] Belgorod.
- Shherbinina, Ju. V., & Flinta, M. (2004). *Russkij jazyk. Rechevaja agresija i puti ee preodolenija* [Russian Language Speech aggression and the ways to overcome it]

Internet links:

- gakharia g. (2023 ts'lis 10 ap'rili). *sakartvelos mtavroba mkhars uch'ers sanktsirebul mosamartleebis*. [The Georgian Government Supports Sanctioned Judges]. [Tweet]. *Twitter.com*. Retrieved April 10, 2023, from <https://twitter.com/GakhariaGiorgi/status/164540646969911680?cxt=HHwWgIC-me2d1NUtAAA>.
- mtavari arkhi (2023 ts'lis 10 ap'rili). *sakartvelos mtavroba dasanktsirebul mosamartleebis uch'ers mkhars* [The Georgian Government Supports Sanctioned Judges] [Facebook]. *Facebook.com*. Retrieved April 10, 2023, from <https://www.facebook.com/TvMtavari/photos/a.121647255872060/1219671632736278/>.
- mtavari arkhi (2023 ts'lis 10 ap'rili). *realuri p'roblema, am kveqnis mtavari rusuli saprtkhe...* [The real problem, the main Russian Danger for this country] [Facebook]. *Facebook.com*. Retrieved April 10, 2023, from <https://www.facebook.com/TvMtavari/photos/1219621079408000>.
- radio tavisupleba. (2022 ts'lis 27 tebervali). *prangi mts'erali, prederik' begbederi avrtsleebis uk'rainis mkhardamch'er videos* [French Writer Frederick Begbeder Shares the video to support Ukraine]. [Facebook]. *Facebook.com*. Retrieved April 11, 2023, from <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=986477165312357>.
- Macmillan Dictionary*. Retrieved March 21, 2023, from <https://www.macmillandictionary.com/dictionary/british/aggression>.